✦ როგორც დანამდვილებით გავიგეთ, გორის პროფესიონალურ სკოლის გამგე ელენე თარხან-მოურავის ასული მოკლე ხანში სკოლის განყოფილებასა ხსნის დაბა ხაშურში.

✦ როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს ჩვენ გაზეთის ფურცლებზე, „ბოქსი“ ადგილობრივ კლუბში დიდს განვითარების გზას ადგია. მოკრივენი მეტ წილად კლუბის წევრნი ან თვით მაპასახლისნი არიან ხოლმე. ეხლაც ასე მოხდა. 30 სექტემბ. ნაფ. ვექთან. კ. დ—ვმა, კლუბის წევრმა, კლუბის დარბაზში სცემა პროვიზიშ—ფს; საზოგადოებაში მითქმა-მოთქმაა...

✦ ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელში წელს სწავლის ფული არავისთვის გადუხდევინებიათ.

**შეცდომის გასწორება.** „სახალხო გაზეთის“ გუშინდელ ნომერში ახალ ამბავთა შორის აღნიშნულია მეხილეობის გამოფენა, სადაც ნათქვამია: „სხვათა შორის საყურადღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოა სოფ. შემოქმედიდან (ოზურგეთის მაზრა) გ. დუმბაძის მიერ გამოფენილი ექსპონატები სამრეწველო თხილისა“. უნდა იყოს დაბეჭდილი: „**მიხეილ მოსეს ძის დუმბაძის** მიერ გამოფენილი ექსპონატები სამრეწველო თხილისა“.

# ღღიური

**ყურად იღეთ!**

სიცილი ბედნიერებას არ ნიშნავს, საყვედური — სიძულვილს, სევდა — უიმედობას და ცრემლი—უმოქმედობას. როდესაც ხედავ მამულის გულს დასერილს, შეუძლებელია შენი სახე მწარე ნაღველით არ აღიბეჭდოს; როცა გესმის კვნესა მშობელის, ღიმილი არ მოგეკარება; როცა შენი კერა ჩამქრალია, განიავებულია, სამხიარულოდ არ მომართავ ჩანგურს.

იცინიან, ვინც არაფერს ჰგრძნობენ და ყველაზე უფრო მოსარიდებელი, საშიში მტერი ის მოყვარეა, ვინც მუდამ კარგს, სალხინო გუნებაზეა: ხიფათს განგვიმზადებენ ეს ენი! მხიარულება არ გვძართებს, როდესაც ჩვენი მდგომარეობა ესრე ტრაგიკულია, როდესაც განსაცდელი ესრე გადიადებულია და სული შეაუთუული კლდესა ასკვნება გზის გასაკვეთად და გზა არსად არის, ჯერ არსად არის!

ჩვენ არ შეგვიძლია ვიმღეროთ: სიმღერა დღევანდელთა ხვედრი არაა, სიმღერა მომავალთა ბედია. ჩვენ მხოლოდ გალობა გვარგუნა ცხოვრებამ—გალობა ციხეში დატყვევებულთა, გოლგოთისაკენ გამგზავრებულთა. ტანჯვაა ჩვენი ბაგა, ნაღველია ჩვენი ემბაზ , ტირილია ჩვენი ნანა, უბედური, ჩაგრული, დევნილია—ჩვენი მეგობარი, ვაებაა ჩვენი აღმზრდელი და კვნესა, გოდება, გმინვაა ჩვენი მანუგეშებელი.

რისთვის უნდა გვიხაროდეს, ჯერ არ ვშობილვართ! რისთვის უნდა ვიცინოდეთ, აწმყო არა გვაქვს! რისთვის უნდა ვიმღეროთ, როდესაც ვერვის დაატკბობს ჩვენი სიმღერა? ჩვენ მხოლოდ მომავლისათვის ვართ. ჩვენ არ ვცხოვრობთ, მხოლოდ ვიცოცხლებთ; არა ვართ, მხოლოდ ვიქნებით! ჩვენი ფიქრი, გრძნობა, ზრახვა, ოცნება მომავალზეა გადასული. იქ, შორს, აღთქმულს ქვეყანაში, ამოვიღებთ ხმას, ხმას სამხიარულოს, მოვილხენთ სადღესასწაულოდ, შოვირთავთ სახეს, გაბრწყინდებიან ჩვენი თვალები და დაფნის გვირგვინით, ვარდით და ყვავილით შევიმკობთ შუბლს.

დღეს კი ეკლის გვირგვინია ჩვენი სამკაული, გლოვის ძაძაა ჩვენი წამოსასხამი და ფეხშიშველნი ვართ. მეგობარო, ძმაო, თანამოსაგრევ, ნუ დაგაფრთხობს ჩვენი ეგრე დაღვრემილი სახე. ნუ შეგაშინებს ჩვენი ეგრე გამწარებული სიტყვა, ნუ აღგიძრავს უსახსრობას ჩვენი სევდიანი დუმილი და ნუ მოგიკლავს სურვილს აღდგენისა, განახლებისას.

დღეს ჩვენ საქორწილოდ კი არ მივდივართ ტაძრად, არამედ გლოვისათვის. იმისთვის კი არ შევიკრიბებით, რომ ვიდღესასწაულოთ, არამედ მისთვის, რომ ცხედარი მივასვენოთ სამარეს, რომ საფლავის გარშემო, გაცივებულ გვამთან მოვიგონოთ დღენი და სიმწარეში ვიხილოთ და შევიგნოთ ჩვენი არსებობა, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს მამული და ხელი შევახოთ ერს.

ეს დღენი არიან დღენი სიმწარისა, დღენი მოთქმისა ან დღენი გულში ჩაკლულს ოხვრისა. მაგრამ მოვლენ დღენი განახლებისა და ჩვენ სიხარულით, სიცილით ებნითა და წინწილით, დაფითა და ნაღარით, სრულის გულით, სრულის ლექსით მივეგებებით მათ რომელთაც უყვარდათ ერი და არ რცხვენოდათ სიყვარულის; ჭირში იყვნენ და არ ეკრძალებოდნენ სატანჯველს; სტიროდნენ და არ წარიკვეთდნენ იმედს, უბედურები არ იყვნენ, უძრავნი, მოღალატენი.

ამათ ეკუთვნის ერის დღევანდელი დღე, მათია ერის მომავალი. ხშირად უხილავია, ჩუმია, დამალულია მათი თავგამოდება, მაგრამ ჩვენს მომავალ განახლებაში ჩაქსოვილია მათი საქმენი. დღეს თუ ვერ ვხედავთ, ვიხილავთ; თუ არა ვგრძნობთ მათ აღფრთოვანებას, ვიგრძნობთ; თუ არ გვესმის მათი მოსწრაფებული გულის ცემა, გავიგონებთ.

ისინი არიან იმედი ერის, სასოება მამულის და თუ მწარეა ჩვენი სიტყვა, ნაღველს გალესავს ჩვენი კალამი, არა მხიარულია ჩვენი სახე და ტკივილში აღუბეჭდავს, თუ გლოვის ზარი გესმით ჩვენგან—ეს არაა ზარი სიკვდილისა, ტირილი ჩვენი არაა განსასვენებელი, გოდება ჩვენი დამადუმებელი, დამყუჩებელი, დამაცვიფყებელი, არა, სიცოცხლისათვის მოგიწოდებთ მხოლოდ; განახლების სიყვარულს აღგიძრავთ მხოლოდ, აღორძინების იმედს მოგიწოდებთ მხოლოდ. ჩვენს ვაებაში არაა ურწმუნობა. არა, ჩვენი ვაება მხოლოდ განცდაა ჭირისა და უბედურების და ამავე დროს, ამიტომ სწორედ, ამ ვაების განცდით გამქვაღ ულნი ვართ, უძლიერესის რწმენით, გა-უტეხელის იმედით, შეურყეველის ძისწრაფებით მომავლისაკენ.

დუმილია ჩვენი ცხოვრება, მაგრამ არა სიკვდილი. ამ დუმილში მზად დება განახლება, აღორძინება, იბადება ახალი ცხოვრება; გვესმის იდუმალი სუნთქვა ახალის ერისა, ვხედავთ მამულიშვილთა შორეულს ლანდებს, წინასწარ ვგრძნობთ მომავლის სიმშვენიერეს. მაგრამ ეს წინასწარ ხილვა მით უფრო ცხადია, წინასწარგრძნობა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო სრულად, შეგნებულად განვიცდით აწმყოს სიმწარეს. ეს სიმწარე ჩვენ არ გვაფრთხობს; უფრო გვამხნევებს გვიწვევს მეტის და მეტის მუშაობისაკენ სამშობლოს და ერის განახლებისათვის.

**სიტყვა.**

# ზიმუილი დასავლეთ საქართველოში

რუსეთში ყოფნის დროს არა ერთი და ორი წერილი წამიკითხავს „სახალხო გაზეთსა“ და „იმერეთში“ ჩვენში მოსალოდნელ სიმშილობის შესახებ. სამშობლოში დაბრუნებულმა განვიზრახე დამეთვალიერებინა რამდენიმე სოფელი დასავლეთ საქართველოსი და ჩემს თვალით მენახა ჩვენი სოფლის გაჭირვება. რაც ვნახე და გავიგონე, მეტად სავალალოა. ჯერ-ჯერობით შორაპნის მაზრის პერევისისა და მერევის საზოგადოებების რამოდენიმე სოფელი ვინახულე და ყველას მოსავლის შესახებ ვესაუბრე. სადღაა ჩვეულებრივი მკვრცხლი, მხიარული და დარბაისლური მსჯელობა ზემო იმერელ გლეხებისა: ყველას მწარე ფიქრი დაუფლებია. სიმშილის აჩრდილით შეძრწუნებული, იგი გულგატეხილი შესცქერის მომავალს.

როგორც „იმერეთის“ ფურცლებზე უკვე აღნიშნა ბ. იმერმა, ზემო იმერეთში მიწის მეტის-მეტი სივიწროვეა; სახნავ-სათეს მიწას მოკლებული აქაური გლეხი, ხშირად სარჩოს ძალზე დაქანებულსა, ციცაბო ფერდობებზე სთესს. მისჩერებიხარ ამ გასაოცრად ფრიალო ადგილებს და თვალს არ სჯერა, თუ აქ ადამიანის ხელს შეუძლია რაიმეს გაკეთება მაგრამ მწუხარებასა და ტანჯვაში ნაწრთობი გლეხი გასაოცარის ენერგიითა და ნებისყოფით ებრძვის ბუნებას, რომ ოჯახს ლუკმა პური მოუპოვოს. ჯერ წინად, კარგი მოსავლის დროსაც აქაურ გლეხობის უმრავლესობას სარჩო ნახევარ წელზე მეტს არ ჰყოფნიდა. ხოლო დღეს იმათაც კი, ვისაც წლის სარჩო მოსდიოდა, სულ სამ-ოთხი თვის სარჩოც აღარ მოსვლიათ. არიან ისეთებიც, რომელთაც დღეს სიმინდის მარცვალიც კი აღარ მოეპოვებათ და სოფელ-სოფელ დაწრწიან სიმინდის საყიდლად მაგრამ სიმინდს არავინ ჰყიდის და კიდევაც, რომ ჰყიდდეს, კოდს (დაახლოვებით 2½ ფუთ.) 3—3 მ. 50 კ. აფასებს. და აბა სად შეუძლია ისედაც გაძვალ-ტყავებულ გლეხობას ასეთი ფასი მისცეს ერთს კოდ სიმინდში და ისიც შემოდგომაზე! უმრავლესობას სიმინდი პირდაპირ ჩალად აუჩეხია, რომ საქონლისათვის მაინც ჰქონოდათ საკვები. მაგრამ აჩეხილი არც ჩალად ვარგა, წვრილი თითქოს, როგორც პურის ღერო, იგი ნაკლებად ასრულებს თვის დანიშნულებას და თუ უწინ, მაგალითად, საქონელს ორი კონა ჰყოფნიდა, დღეს ექვსიც აღარ ჰყოფნის. ერთი სიტყვით, სიმშილს თვისი მსახვრელი ხელი უკვე გაუწვდენია ჩვენი სოფლებისაკენ და მწარე მომავალს უქადის, ამ თავიდანვე უკვე მოსდებია სოფლებს მრავალი მოარული ავადმყოფობა: სახადი, მუცელა, ყელჭირება და სხვა, რომელნიც, უეჭველია, თანდათან უფრო შესაფერ ნიადაგს იპოვიან ადამიანურ საკვებს მოკლებული გლეხობაში და, ვინ იცის, რამდენს გამოასალმებენ წუთი-სოფელს, თუ დროზე არ მივეშველენით.

თუ რამდენად სავალალოა დღეს ჩვენი სოფლების მდგომარეობა, ამას სხვათა შორის შემდეგი მაგალითიც დაგვიმტკიცებს: ს. ც—ში ერთ გლეხს კარგა ხანია ჭკუაზე შერყეული ძმა ჰყავს, წრევანდელი მოუსავლობით დანაღვლიანებულს გლეხს უფრი ნათესავებს მისცეს. სოფელმა შუამდგომლობა აღძრა გადასახლებულთა განთავისუფლებისათვის. კიბიროვი ოსია. იყო რუსეთ-იაპონიის ომში. ეხლა დაჭრილია და კავკავის საავადმყოფოში წევს.

ზელიმხანი შთამომავლობით ჩაჩანია, სოფელ ხოროჩოიდან, ვედენის ოლქიდან. შეძლებული ოჯახის შვილია და 1910 წლამდე მრავომით სცხოვრებდა. 1910 წ. ოჯახში დრამა დატრიალდა. ზელიმხანის ძმას სულთან მურადს და მათ ერთ სოფელს შუმაინს შეუყვარდათ ერთი ქალი. ზელიმხანმა და მისმა ძმამ მოიტაცეს ქალი, მაგრამ მშობლებმა ადმინისტრაციის დახმარებით დაიბრუნეს ქალი. ქალი გაჰყვა შუმაინს. ზელიმხანის გვარი შერცხვა. მოქიშპე გვარები ერთმანეთს დაეჯახნენ და ერთი მეორეს კაცები ამოუხოცეს. საქმეში მთავრობა ჩაერია. ზელიმხანი ციხეში ჩასვეს. ზელიმხანი ციხიდან გაიქცა და გავარდა უჩაღად. მას ძმა და მამა შეუერთდნენ. პირველად ჯავრი ზელიმხანმა ვედენის ოლქის უფროსის თანაშემწეზე, დობროვოლსკიზე ამოიყარა, მერმე ოლქის უფროსი პოლკოვნიკი გალაევიც მოჰკლა. ზელიმხანმა მოიტაცა მეცხვარე მესიაცევი, რომელსაც 15 შეიარაღებული კაცით დაესხა თავს. ზელიმხანს როცა ისვენებდა, მას შემდეგ, რაც თავი დაახწია მის დასაჭერად გგზავნილ რაზმს, დაესხნენ სისხლის ამღებნი. ასტყდა სროლა და ზელიმხანის მამა და ძმა მოჰკლეს, ხოლო თვითონ თავს უშველა. მესიაცევი გაანთავისუფლა 18 ათასი მანეთის გადახდის შემდეგ.

ერთ საღამოს ზელიმხანი თავს დაესხა გროზნაში საიუველირო მაღაზიას. მაღაზია შუა ქალაქშია, ქალაქის ბაღის პირდაპირ, ოლქის უფროსის ბინის გვერდით და პოლიციის სამართველოს პირდაპირ. აქვე ყაზახების ბინებია. ზელიმ-ხანი ოფიცრის ფორმაში იყო. ნახევარი საათის შემდეგ ყაზახები დაედევნენ, მაგრამ ვერავინ იპოვნეს.

გროზნის სადგურის კასას ღამის ორს საათზე ალყა შემოარტყა ზელიმ-ხანმა, დასჭრა ორი დარაჯი გასტეხა კასა და 18 ათასი წაიღო.

ზელიმხანი დაეცა ყიზლიარის ხაზინას 30 კაცით. ქალაქში შუადღისას შევარდა. სროლის დროს მოჰკლა 11 კაცი.

ეს თავდასხმა ყველაზე შესანიშნავი იყო თავისი გაბედულებით. ფულად ხაზინიდან მხოლოდ 5 ათასი წაიღო. მთავრობამ მაშინაც ვერ შეიპყრო ზელიმხანი. 1910 წელს მთაში შეიპყრეს ზელიმხანის ოჯახობა. როცა ზელიმხანის დასაჭერად წასული რაზმი უკან ბრუნდებოდა, ზელიმ-ხანი დაეცა რაზმს ასინის ვიწროს ხეობაში. სროლის დროს მოჰკლეს რაზმის უფროსი თავ. ანდრონიკაშვილი ( ოფიცერი, დაიჭრა როტმისტრი დრაგუნოვი და რამდენიმე ცხენოსანი.

1911 წელს ზელიმხანი ჯერჯეთის ხეობაში თავს დაესხა გზის სარეევიზიო კომისიას, რომელსაც 12 ყაზახი მიჰყვებოდა როტმისტრი დოლიძის ხელმძღვანელობით. ზელიმ - ხანმა სულ ყველანი ამოხოცა, რაღაც სასწაულით გადარჩა პოლკოვნიკი ჩიკალინი.

უკან გაბრუნებული ზელიმ-ხანი ყაზახების რაზმს შეეხეჩა და ყველა ამხანაგი მოუკლეს. თვითონ კლდიდან გადაეშვა და თავს უშველა.

1911 წელსვე ზელიმხანი მოამწყვდიეს მისივე სოფლის ახლო მდებარე გამოქვაბულში. ასტყდა სროლა. დილას სროლა შესწყდა. კლდეზე აიტანეს სამთო ზარბაზანი. ზარბაზნიდან უნდოდათ სროლა აეტეხათ ზელიმხანისთვის, მაგრამ ჯერ წინადადება მისცეს, დაგვნებდიო. ზელიმხანი გამოქვაბულში არც კი ყოფილა.

როგორ გაიპარა, ყველა ეხრით ჯარის მიერ ალყა შემოარტყმული, ზელიმ-ხანი, დღესაც საიდუმლოებას შეადგენს.

ამბობენ ვედენის ოლქის უფროსმა დუელში გამოიწვია ზელიმ-ხანი. ზელიმ-ხანს უპასუხნია. „კარგი! შენ რომ მე მომკლა, ჯვარს მიიღებ და მე რო შენ მოგკლა, ყელზე თოკს მომიპერონო“.

# რუსეთი

**მუშათა პრესის დევნა.**

შრომის ჯგუფი და ს. დ. ფრაქცია სათათბიროში შეკითხვის შეტანას აპირებენ, მუშათა პრესის დევნის გამო. შეკითხვა აღნიშნავს იმ რეპრესიებს, რომელიც ბეილისის საქმის გამო განიცადეს გაზეთებმა. ლიბავაში მაგალითად, მთავრობის წარმომადგენელმა სრულიად აუკრძალა გაზეთებს, გარდა დეპეშათა პეტერბურგიდან საგენტოს ცნობისა, რაიმე სხვა ცნობების მოთავსება.

**ბეილის საქმის გარშემო.**

27 სექტემბრის ნომერი გაზეთ: „კიევლიანინი“-ს დაიჭირეს ბეილისის გამო წერილის მოთავსებისთვის და რედაქტორი შულგინი სამართალში მისცეს. გაზ. „კიევლიანინი“ მემარჯვენეთა ორგანოა 50 წლის განმავლობაში ეს პირველი მაგალითია „კიევლიან“-ის დაჯარიმებისა. გაზეთი ბეილისის საბრალმდებლო ოქმს ბავშურ ტიტინს ეძახდა და რუსეთის იუსტიციის შერცხვენას ხედავდა ამ ოქმში. ეხლა ცნობილი მოსკოველი ქველმოქმედი შახოვი დეპეშით ატყობინებს გაზეთს, ნება მომეცით იმ წერილის ავტორის სახელობის სტიპენდია დავაარსო შანიავსკის სახალხო უნივერსიტეტშიო. შახოვს ამ საქმისთვის 6 ათასი მანეთი გადაუდვია. ბეილისის საქმის გამო პეშეხონოვმა წერილი დასტამბა „კიევსკაია მისლში“, რისთვისაც 29 სექტემბრის ნომერი გაზეთისა დაიჭირეს.

პრაგაში რუსეთის საკონსულოს წინ საპროტესტო მიტინგი გაიმართა, ბეილისის საქმის გამო.

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული წარმოდგენა.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება ნ. შიუკაშვილის 4 მოქ. დრამა „სიმახინჯე“. პიესას სდგამს შალიკაშვილი.

ქართულ დრამატ. საზოგად. გამგეობას გაუბედნია საზოგადოების დიდი ხნის სურვილის ასრულება და ქართულ წარმოდგენაზე ადგილების ფასები შესამჩნევად დაუკლია, ასე რომ, კვირიდან უკვე ბილეთები გაიყიდება დაკლებულის ფასით.

**ბ-ნი შალიკაშვილის ახალი პიესა.** სათანადო დაწესებულებას უკვე ნება დაურთავს ბ-ნი შალიკაშვილის ახალი პიესისათვის, რომელსაც ეწოდება „უნიადაგონი“. პიესა ცხოველის ფერადებით ჰხატავს ჩვენ მაღალწოდების ინტელიგენციას და მათს „საქმიანობას“ კერძო თუ საზოგადო ასპარეზზე. დასი უკვე მესდგომია პიესის მზადებას. მთავარი როლები განაწილებულია თურმე, დასის საუკეთესო ძალთა შორის. პიესა დაიდგმის ძახლობელ ხუთშაბათს და მერე წარმოდგენილი იქნება ქუთაისშიაც.

**ქართული დრამატ. დასი ქუთაისში.** მორიგი წარმოდგენების გასამართავად პარასკევს ქუთაისს გაემგზავრა ჩვენი დასის ნაწილი ვლ. მესხიშვილის მეთაურობით. გაიმართება ორი წარმოდგენა, შაბათსა და კვირას—„ედმონდ კინი“ და „ინსტიქტი“, რომელშიაც მთავარ როლებს ასრულებს ვლ. მესხიშვილი.

**ავლაბრის სახალ. თეატრი.** დღეს, 6 ოქტომბერს, ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ რეჟისორის ი. ივანიძისა და �ივიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება შიუკაშვილის „მეგობრობა“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ქ. ბათომი.** 2-ს ოქტომბერს ბათომის სცენაზე პირველად ვიხილეთ ორიგინალური პიესა, „გადაკრილი მუხა“ ვ. შალიკაშვილისა. პიესის შინაარსს არ შევეხებით, რადგან იგი საკმაოდ იყო აღნიშნული ჩვენი პრესის მიერ. დიდის დაკვირვებით შეასრულეს თითქმის ყველამ თავ-თავიანთი როლები და დიდი აღტაცებაც გამოიწვიეს დამსწრე საზოგადოებაში... ამავე წარმოდგენას დაესწრო თვით ავტორი პიესისა, რომელიც ორჯერ სცენაზე გამოიყვანეს და დიდის ტაშის ცემით მიეგებნენ... შემდეგი წარმოდგენა—„მედია“, 6 ოქტომბერს.

**ტრ. ი—ძე.**

**კომპოზიტორის კოტე ფოცხვერაშვილის კონცერტი ქუთაისში.** 20 ოქტომბერს ქუთაისში კ. ფოცხვერაშვილი გამართავს ფრიად საინტერესო კონცერტს; რომელზედაც სხვათა შორის შესრულებული იქნება კომპოზიტორის ახალი ნაწარმოები, სიმფონიური პოემა „განდეგილი“ და სხვა. ათი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც კ. ფოცხვერაშვილმა ქუთაისში (და მასთან მთელ საქართველოში) გამართა პირველი სიმფონიური კონცერტი, რომლის დროსაც შესრულებული იქნა ხალხური სიმღერები ორკესტრის აკომპანიმენტით. ქუთაისელები მოუთმენლად ელიან კონცერტს. მეთაურებიც დიდს მზადებაში არიან. ტფილისიდან კ. ფოცხვერაშვილს მიჰყავს ახალი კლუბის ორკესტრი. სულ მონაწილეობას იღებს 40 კაცი, რომელშიაც შედიან მომღერლები ქუთაისის, სამტრედიის და ფოთის გუნდებისა. გარდა ამისა მონაწილეობას იღებს ტფილისელების კარგად ნ ცნობი მომღერალი ქალი ქ-ნი **ვესელოვზოროვისა (ბახუტაშვილის ასული)**, რომელიც შეასრულებს ქურუმ-ქალის არიას ფოცხვერაშვილის ოპერის „კერპთა დამხობი“-დან.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგენტოსაგან).

**5 ოქტომბერი.**

**უცხოეთი.**

**პარიზი.** სენატორ დემიერის თავმჯდომარეობით გაიხსნა რადიკალთა და რადიკალ-სოციალისტთა კონგრესი. კონგრესმა უნდა მოაგვაროს ის განხეთქილება, რაიცა რადიკალთა პარტიაში მოხდა საარჩევნო რეფორმის და სამხედრო კანონის საკითხის გამო. პარტიის მარცხენა ფრთა, კომბოს მეთაურობით, სცდილობს რადიკალურ - მინიმალური პროგრამა შეიმუშავოს.

**თეირანი.** გაიხსნა სახალხო თეატრი. ხალხი დიდის ინტერესით მიეგება. თეატრთან სახალხო ბიბლიოთეკაც გაიხსნა.

**ვენა.** „კორესპოდენც-ბიუროო“ კორიციდან იტყობინებს: სერბიელნი გადავიდნენ ალბანეთის საზღვარს, დაიპყრეს სოფლები კიუკი და ვეხსანი. ისინი იერიშით ალბანიისაკენ მიემართებიან.

**ოზგანისციალი.** 10 საათსა და 15 წუთით დირიჟაბლზე „ლ 2“-ზე აფეთქება მოხდა. დაიღუპა მრავალი ხალხი.

**სოფია.** ბულგართა ჯარმა დაიკირა მუსტაფა-ფაშა.

**პარიზი.** პუანკარემ იმპერატორ ვილჰელს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა, დირიჟაბლზე მომხდარ უბედურების გამო.

**ბელგრადი.** სკუპშჩინაში ახალი კანონ-პროექტი წარადგინეს 270 მილიონის სესხის თაობაზე სამხედრო ხარჯების დასაფარავად.

**ლეიპციგი.** სათათბიროს მიერ გადადებულ 120 ათასი მანეთის გარდა, შემოწირულება 180 ათასი მანეთი და ლეიპციგში მოაგროვეს 30 ათასს მანეთამდე ეკლესიის ასაგებად.

**ბერლინი.** დაღუპულ დირიჟაბლში 28 კაცი იყო. აფეთქების დროს დაიღუპა 25 კაცი, დანარჩენნი ძლიერ დაშავდნენ.

დაარსდა ახალი საზოგადოება გერმანელებისა, რომელთაც აზრად აქვთ რუსეთი შეისწავლონ. საზოგადოება პოლიტიკის გარეშე იდგება.

**ბამბერგი.** ჩამოვარდა ბიპლანი, მოკვდა ორი კაცი.

**ლონდონი.** კანადის მთავრობამ პარლამენტში ბილი შეიტანა ინგლისის მიერ განზრახულ ახალ დრედნოუტების ასაშენებლად ხარჯის გაღებისთვის.

მატროსებმა და კოჩეგარებმა დაადგინეს პირველ მაისიდან აღარ იმუშაონ, თუ გემებზე უმავთულო ტელეგრაფი არ იქნება მოწყობილი.

**მანჩესტერი.** მუშებსა და მეფაბრიკეებს შორის შეთანხმება მოხდა.

**ბუდაპეშტი.** ხოლერისაგან ავად გახდა სამი კაცი. ამათგან ორი მატროსია.

**მელილია.** 500 მავრი ისპანელს ჯარს თავს დაესხა. მოკლულია სამი, დაჭრილია 20 მავრი.

**სტამბოლი.** გემებს მხოლოდ დილის 8—2 საათამდე შეუძლიათ დარდანელში შესვლა, ეს ღონისძიება 4 თვით არის შემოღებული.

**რუსეთი.**

**პოლტავა.** საბჭომ 115 ათასი მანეთი გადასდო ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

**მიტავა.** გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

**პეტერბურგი.** დასავლეთის ათ გუბერნიაში ადგილობრივ სასამართლოს რეფორმის განხორციელებას ოქტომბერში შეუდგნენ.

შემუშავებულია ახალი კანონ-პროექტი სამრევლო სკოლების მასწავლებლებისთვის ჯამაგირის მოპატების თაობაზე.

**ბეილისის საქმე.**

**კიევი.** კრების გახსნისას, ნაფიც მსაჯულთა შემოსვლამდე, თავმჯდომარე აცხადებს, კიევის ერთ-ერთ გაზეთში, გადამახინჯებულად იბეჭდება კრების ანგარიში, თუ ეს ასე გაგრძელდა შემდეგშიაც, იძულებული ვიქნები სულ მოვსპო სტენოგრაფიო. გრუზენბერგის შუამდგომლობისა გამო თავმჯდომარის სიტყვები ოქმში შეიტანეს. მოწმეები ახალს არაფერს ამბობენ. თეოდოსია პეტრენკო აჩვენებს, ანდრია ჭკვიანი, უშიშარი ბავშვი იყო, ჩებერიაკების ოჯახში ხშირი სტუმარი იყოო. და

მეტ სახელად უშიშრობის გამო „ქაჯს“ ეძახდნენო.

თერთმეტი წლის ნაზარი ზარუცკი აჩვენებს, ერთი კვირით ადრე მოკლულის გვამის პოვნამდე ერთად ვცურაობდითო, ღობის გაკეთებამდე ვთამაშობდით ზაიცევის ქარხნის ეზოში, მაგრამ შემდეგ არაო. დარაჯი გამოგვედევნებოდა ხოლმე, მაგრამ ბეილისი არა სდროსო. ზამისლოვსკი აღნიშნავს ჩვენებათა შორის წინააღმდეგობას და იმ გარემოებასაც, რომ ეხლა ბევრი ისეთი რამ სთქვა მოწმემ, რაც გამოძიების დროს არც უხსენებიაო. გრიგოროვიჩ-ბარსკისა და ბრალმდებლის შეკითხვაზე — ჩებერიაკი ხომ არ არიგებდა, როგორი ჩვენება მიეცა —მოწმე ამბობს: მოწმეების ოთახში ვერა ჩებერიაკი მღვდლისა, დიაკონის და სხვათა წინაშე ასწავლიდა ასე და ასე აჩვენე: რო ცურაობდით, ბეილისი გამოგიდგათ, თქვენ გაიქეცით, ხოლო ანდრიუშა დაიჭირა და წაათრიაო. პირის-პირ წაყენებისას ვერა ჩებერიაკი უარს ამბობს, არაფერი მითქვამს მოწმისთვის ეგეთიო, ხოლო მოწმე თავისას იმეორებს. ბრალმდებელი მოითხოვს თქმული ოქმში იქმნას შეტანილი.

შემოჰყავთ მოწმე ტუსაღი კუჩერიავი, რომელიც ბეილისთან და კაზაჩენკოსთან იჯდა ციხეში. გამოაქვეყნეს მოწმის პირვანდელი ჩვენება, როდესაც კუჩერიავი აძბობდა, პუხალსკიმ ბეილისის ცოლის სახელზე წერილი დასწერა და ბეილისმა წაიკითხა და ხელი მოაწერაო, ბეილისი ას მანეთს შეჰპირდა გასაძრჯელოს ზახარჩენკოსაო. ბრალმდებელსა და კარაბჩევსკის მოწმე უპასუხებს, მოწმეების მოწამლვისა არა ვიცი რაო.

გამოაქვეყნეს არ გამოცხადებულ მოწმის ბურჟინსკის ჩვენება, რომელიც აცხადებს, გოლუბევისთვის ლანდაუს თაობაზე არა მითქვამს რაო.

ქარხნის ყოფილი მუშა სინიაევი მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ იყო, რომ განთავისუფლებულმა ზახარჩენკომ სცემა ებრაელებს და მას ფულები დასტყუა. ხელმეორედ ართმევენ ჩვენებას ანდრიას ბებიას ნეჟინსკისას, რომელიც ამბობს, ანდრია ხშირად დადიოდა შნეერსონთან თივის საყიდლად. ბავშვის დაკარგვის შემდეგ ლუკიანოვკაზე დავბრუნდით. ერთხელ, როცა მოწმე შნეერსონის დუქანში შესულა, უნახავს ვიღაც ებრაელი დიდი ადტაცებით გაზეთს ჰკითხულობდა. შნეერსონს ებრაელისთვის რაღაც ებრაულურად უთქვამს, იმას კითხვა შეუწყვეტია. მოწმეს მხოლოდ სიტყვა „ბაბა“ გაუგია. პირისპირ წაყენების დროს შნეერსონი აცხადებს, ანდრიას არ ვიცნობდი, ძოწმე ოთხი წლის წინად ყიდულობდა ჩემთან თივასო. გაზეთის წაკითხვის ამბავს უარჰყოფს. ებრაელები ჩემთან ი ბვიათად შემოდიოდენ სავაჭროდო. მოწმე ზამისლოვსკის უპასუხებს, გაზეთებს ბეილისის საქმის გამო არ ვკითხულობდი, რადგან არ მაინტერესებდაო.

ზარუდნი აცხადებს, სამართალში მიუცემელ მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევა იმ გზით, როგორც აქ ხდება, როდესაც მოწმეთ საშუალება არ აქვთ თავის დაცვისა, სასამართლოს შეცდომაში შეიყვანს. პროტესტს აცხადებს ასეთი გამოძიების გამო და მოითხოვს შნეერსონის ჩვენება ოქმში იქმნას შეტანილი. თავმჯდომარე აცხადებს, მოწმეს შეუძლია დამცველებს, თუ კი უკანასკნელის სიტყვებში რაიმე ექვებს დაინახავენ, არ უპასუხონ. შნეერსონი ამბობს, მე ყველას მივცემ პასუხსაო.

პირის პირ წაუყენეს ორდინკი და ჩებერიაკი. ჩებერიაკი ამბობს, როოტსის რესტორანში ერთად მივედით მე, ვიგრანოვი და ბრაზულიო, ფულს ბევრს ხარჯავდნენ მოწმეს არ უსვამს, არ უჭამია, ორდინსკი იქ არ უნახავს და არც იცნობს. ორდინსკი ამბობს, ვიყავი რესტორანში, ყველა ხვედრ ფულს თვითონ იხდიდა ხოლო თითოეულს 30 კაპიკზე მეტი არ გადაუხდიათო. მოწმე ექვთიმე ვოიტენკო მოჰყვება თავის მუშაობის ამბავს. მოწმე გორბატკო აცხადებს, რომ ისა და ებრაელი გულკა ქარხანაში ერთად მუშაობდნენო. ბრალმდებელი ნაფიც მსაჯულთა ყურადღებას მიაქცევს გორბატკოს ჩვენებაზე—ცხენის საუნაგროში ტახტი იდგა, რომელზედაც დუბოვიკი ისვენებდა ხოლმეო. გრიზენბერგი უთითებს მოსამართლეებს—რომ მოწმემ სთქვა ინსტრუმენტები გულკისა არისო.

სართულის დამხურავი ჩერნიავსკისთვის ნაკონეჩნის ოამბნია, ბავშვი ჩებერიაკმა მოჰკლა და მე თვითონ ვნახე, როგორ ამოფხიკა ქარხნის წიგნიდან დატრპეო, ამის გამო ზახარჩენკო ჩებერიაკისადმი საჩივრის აღძვრას აპირებდაო. მოწმის აზრით ბავშვი განგებ დაჩხვლიტეს, რათა მკვლელობის კვალი აებნიათ.

ვორობიოვი ქარხნის მეეზოვე აჩვენებს, ღობე 1910 წელს ააშენეს, ბავშვებს არ სდევნიდა, ან სხვა ვინმე თუ სდევნიდა არც ის იცის. მოწმე დუდმანი ამბობს, როცა სინაგოგიდან გამოვდიოდი ზახარჩენკო შემხვდა და მთხოვა, ბეილისი გამანთავისუფლებინე, დამეხმარე რითიმე, მაგრამ ვერ დავეხმარეო. მოწმე ამბობს, ხასიდებსა და მეზნაგიდებს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს—მე 20 ჯერ ვიყავი ხან ერთი, ხან მეორის ამდიარებელიო, მოწმე სამლოცველო სახლის წევრია. შმაკოვი ეკითხება მოწმეს სამლოცველო სახლისა და იმას, თუ სად დადის მოწამე. მოწმე უპასუხებს: „ასე საშუალო“. თავმჯდომარე მხარეებს წინადადებას აძლევს, თავიანთი აზრი გამოთქვან, რამდენად საჭიროა საქმისთვის სექტების ცხოვრების გაცნობა. ბრალმდებელი საჭიროდ სთვლის ასეთს გაცნობას. მოწმის სიტყვით კიევში ხასიდებიც არიან, მაგრამ არა ხასიდები უფრო მეტი, სინაგოგა ყველასთვის ღია, ამბობს მოწმე, და იქ სამლოცველოდ—ვინც უნდა ის მოვალ. მოწმე ჟუკი აცხადებს, სამლოცვნლო სახლში ბეილისი და ერთი უცნობი იყვნენ, უცნობი ამბობდა, ბეილისი იტანჯვის და თავს მოიკლავს, თუ ებრაელებმა არ ვუშველეთო. ეს განცხადება უყურადღებოდ იქმნა ჩატარებული. მოწმე ნასიდა, ბეილისს და შნეერსონს არ იცნობს. მორდკა დუბოვიჩი, რომელიც ქარხანაში მუშაობდა, ამბობს ძროხები ბეილისმა 1910 წელს გაჰყიდა, მუშებს თავიანთი ინსტრუმენტები ჰქონდათო. გამოაქვეყნეს გარდაცვლილ კოლობასოვის ჩვენება, რომელიც ლუკა პრიხოდკოს კარგ კაცად ახასიათებს, 12 და 13 მარტს ძთელი დღე-დამე სახლში იყოო. გამოაქვეყნეს გარდაცვლილ მოწმის ვასილიევის ჩვენება, რომელიც ამბობს ჩებერიაკს საეკვო ხალხთან ჰქონდა კავშირიო, დედას ბავშვი არ უყვარდა და ბევრსა სცემდაო. ბრალმდებელი, გრიგოროვიჩ ბარსკი და გრუზენბერგი მოწმის ჩვენებაში წინააღმდეგობას ხედავენ.

რედაქტორი Ა. ᲯᲣᲛᲑᲐᲫᲔ.
გამომცემელი Ა. ᲯᲐᲯᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

პარიზის სულთნურად ახალი ფასონები
კორსეტებისა
ვენის საკორსეტო ელექტრონის სახელოსნოში
მ. ა. ლევიტი,
ტფილისი, ბეტრე დიდისა და სოლოლაკის ქუჩის კუთხე. 1168

გონორარეაზ (სუსუნატის) წინაალმდეგ უახლესი საშუალება:
„SALO—ᲙᲘᲩᲘᲚᲘᲜ“.
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძვრს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ. აგრედვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და ძაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.
დეპო: Петербургъ, разъѣзжая, № 7 аптека Б. Кенсима. იგზავნება ფასდადებით. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფეიაქო საქონლის კაკაბის ხაზოგადოების სავაჭროში.
Метцль 21328. 1038

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲚᲐᲠᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲜᲘ (ქვა-ნახშირის მთხრელები)
ემილ ზოლას რომანი მუშათა ცხოვრებიდან ი. გ. ავალიშვილის ნათარგმნი.
ტფილისში 1) ქ. შ. წ. კ. ᲡᲐᲮ. წიგნის მაღაზიაში. 2) ცენტრალურ წიგნის მაღ. გოლოვ. პროსპ., 3) მერკვილაძის მაღაზიაში „ცოდნა“, 4) კიკნაძის წიგნ. მაღაზ. გოლ. პრ.
ქუთაისში: 5) მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 6) ოცხელის წიგნის მაღაზიაში.
წიგნის ფასი 85 კ. ვინც 5 ცალზე მეტს იყიდის ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში დაეთმობა 20 პროცენტი. 1519

ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲣᲮᲒᲐᲚᲢᲔᲠᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
ᲘᲕᲐᲜᲔ ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐᲡ ᲫᲘᲡ ᲢᲔᲠ-ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ.
15 ოქტომბრიდან გაიხსნება პარალელური განყოფილება კურსებისა მეცადინეობა კურსებზე საღამოს 7½ საათზე დაიწყება. სკოლაში მიღება დღის 8—3 საათამდე. 1 თუმანოვის ქუჩა № 13. მიღება კურსებზე საღამოს 6—10 საათამდე. მიხეილის პროსპ. № 53. 678

ᲙᲘᲜᲝᲞᲠᲐᲤᲘᲐ ᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲑᲜᲐᲗ
ᲕᲝᲒᲘᲡᲐ ᲙᲘᲡᲠᲬᲚᲝᲕᲘᲡ ᲧᲝᲤᲔᲚᲛᲐᲠ ᲙᲚᲘᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ
ᲡᲐᲥᲐᲕᲔᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛ ᲤᲐᲡᲐᲓ.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.
1009

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲠᲐ ᲨᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ
„ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲖᲔ“
ეს წიგნი იქნება მე 21-ე გამოცემა იუსტინე აბულაძის რედაქტორობით. წიგნს, წინასიტყვაობის სახით, თავში დაერთვის ვრცელი გამოკვლევა და ბოლოში ვრცელი ლექსიკონი. ტექსტი შემოწმებული იქნება საუკეთესო ხელნაწერებზე და დართული ექნება საჭირო ვარიანტებიც. რედაქცია ეცდება წიგნმა დააკმაყოფილოს, როგორც მეცნიერული ინტერესი, ისე პრაქტიკული საჭიროებაც და მიაწოდოს საზოგადოებასა და სკოლებს საუკეთესო სახელმძღვანელო, ჩვენის სათაყვანებელი მგოსნის შესასწავლად.
წიგნი იბეჭდება ორ ნაირად: 1) ჩვეულებრივ ქაღალდზე უყდოდ და ეღირება 1 მან. და 2) ძვირფასს ქაღალდზე ძვირფასი ყდით—2 მანეთად.
ვინც კეთილ ინებებს და 10 კვიტანციას გაგვიყიდის, იმას ერთი წიგნი, კარგს ქაღალდზე, ძვირფასი ყდით, საჩუქრად მიერთმევა.
იმ დაწესებულებათა და კერძო პირთაც, ვინც მოისურვებს კომისიონერობას, და 10-ზე მეტს გაგვისაღებს, მას მიეცემა მანეთზე 15 კაპ.
ხელის მოწერა გაგრძელდება 25 ოქტომბრამდი, წიგნები დაურიგდება აგენტებს ხელის მომწერლებისათვის დასარიგებლად 1 იანვრისთვის.
ამასთანავე საჭიროდ ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ წიგნი იბეჭდება განსაზღვრული რიცხვით და თუ გადარჩა ხელის მოწერის შემდეგ თავისუფალ ეგზემპლიართა რიცხვი, იმ შემთხვევაში მანეთიანს მიეპატება **ათი შაური** და ორ მანეთიანს **ერთი მანეთი**.
მისამართი: Тифлисъ—Авлабаръ, Кабгеровская № 29. Ю. Абуладзе 149.

1453

ᲨᲠᲐ ᲙᲔᲠᲫᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲪᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡᲐ
ს. პეტერბურგის მკერვალთა საზოგადოებისა.
ᲜᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. 67, ს. პეტერბურგი, ᲜᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. 67
საღამოს მეცადინეობა დაიწყება ამ წლის 20 ოქტომბრიდან. კურსების პროსპექტი უფასოდ იგზავნება. **გამგეობა—ᲜᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞ. 67, ᲢᲔᲚ. 482—30**
№ 13. ჩვენი კურსების წარმატებამ ახოვადოდ და კერძოდ ჩვენი გაუმჯობესებული კოორდინატული სისტემის ნაჭარბებმა ბევრის მხრით მიბაძვა გამოიწვია, ერთა ამათგანს (ვიღაც ქ-ნ ლიდია კარზუნოვისას) ჩვენი სისტემის კოორდინაციისთვის ამ დღეებში ოლქის სასამართლომ **2 კ. ირის ციხე მოუსაჯა** და დაადგინა: მოსპოს მისი გამოცემული პროსპექტები. Метцль 123581. 1513

საავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი
ᲑᲣᲰᲒᲐᲚᲢᲔᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ
Ი. Თ. ᲞᲐᲚᲐᲤᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡᲐ.
თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერვა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან**. კურსები იძლევიან სიფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღალტერიისა და კორესპ. ხელშეწყობ. ᲡᲐᲣᲗᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ: 1) ᲡᲐᲛᲬᲘᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ. ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ: 1) ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲘᲐᲜ ᲑᲣᲦᲐᲚᲢᲔᲠᲘᲐ: Ა) ᲑᲣᲦᲐᲚᲢ. ᲩᲕᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲜᲐᲘᲠᲘᲡ: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), Ბ) ᲗᲕᲚᲐ-ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. 4) ᲕᲔᲥᲡᲘᲚᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, 5) კომერციულ კორეს., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე. 3) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები**. ფრანგ. და გერმან.. 12) საკომერ. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღალტ. ᲯᲒᲣᲤᲨᲘ იყო 144, მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

ᲗᲣᲛᲐᲜᲡ ᲛᲝᲘᲒᲔᲑᲡ ᲓᲦᲔᲛᲘ
ადამიანი ჩვენის ახლად გამოგონილი ფოტოტიპიული მანქანით — „ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ“, რომელიც **ერთი წუთის განმავლობაში** დღის სინათლეზედაც კი იძლევა **სრულიად განმოსულსა** და **მშვა** ფოტოგრაფიული **სურათს**.
**საჭირო აღარაა ცოდნა, მეცნიერება ან ბნელი ოთახი.** ყუთი ივსება დღის სინათლეზე 25 ლითონ. ფირფიტით. მანქანა ლამაზადაა გაკეთებული, ნიკელის ჯამით სურათების გამოსაყვანად, კლიტე ლითონის ჩამოსაშვებით, მუქი შუშით. უფასოდ დაერთვის 12 ფირფიტა, 1 ჩარჩო და 1 ანდამატი ფირფიტების გამოსაღებად **დასურათ. რუსული სახელმძღვანელო.** ᲤᲐᲡᲘ 7 Მ. 75 Კ. (გამოგზავნა 50 კ.).
**თუ თქვენ მარჯვე ხართ,**
**ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲒᲐᲘᲩᲘᲜᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲕᲐᲚᲘ.**
საჭირო არ არის საგანგებო ოთახი. შეიძლება გაკეთება მოედანზე, იარმუკებზე და სავაჭრო ადგილებზე; **ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲫᲔᲜᲐ.** მანქანა „ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ“ დიდად ხაყურადღებოა აგრედვე ფოტოგრაფიის მოყვარეთათვის, ნამდვილ სურათისა და დროს გასატარებლადაც კარგია. იგზავნება უბოდ და ფასდადებით.
**ᲛᲘᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ**
ᲕᲝᲒᲖᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 2 ᲠᲣᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 14/68.
**адресი:** „Т—во Патентъ“, Варшава, Св. Креста, № 30. Отд. 95.
Метцль. 37989 1360

ᲛᲘᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ
ᲕᲝᲒᲖᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ № 2 ᲠᲣᲜᲘᲡ ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 14/68.
1512

ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲡᲐᲧᲘᲜᲣᲚᲔ-ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲗ
ᲙᲔᲡᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲓᲐᲜ
ᲐᲛᲣᲠᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ |ᲙᲔᲢᲝᲕᲘ|, ᲡᲘᲒᲘ, ᲓᲕᲘᲜᲘᲡ ᲝᲠᲐᲒᲣᲚᲘ, ᲒᲠᲣᲖᲓᲘ, ᲑᲠᲣᲡᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.
ᲐᲒᲠᲔᲓᲕᲔ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲐᲘᲚᲝᲕᲘᲡ
ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ
ᲙᲝᲚᲝᲤᲘᲗ Დ ᲮᲛᲔᲚᲘ ᲡᲝᲙᲝ. 150

ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲜᲘ
ᲔᲛ.
ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.
ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, ᲡᲐᲙᲣᲗ. ᲮᲐᲮ. № 9.
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 712.


## ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲔᲥᲘᲛᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲯᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონეცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲐ.**
ᲓᲦᲔᲚᲘᲗ:

**„606“ ᲓᲐ „914“**

**11—12 ს. ᲨᲔᲛᲬᲐᲙᲣᲜᲔᲑᲐ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲣᲠᲐᲓ.**

**ბ. ა. ნავახარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ᲐᲒᲐᲮᲐᲠᲝᲕᲐ:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. Მ. ᲩᲘᲭᲝᲕᲐᲜᲘ:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
**ზ. ი. ᲑᲐᲑᲐᲮᲐᲜᲝᲕᲘ:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. ᲛᲣᲚᲘᲜᲘ:** 10—12 ს. ყურისა, ცხვრისა და ყელისა.
**Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**Ა. Ა. ᲙᲐᲠᲐᲞᲔᲢᲘᲐᲜᲪᲘ:** 12—1 ს. შინაგანი აბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ᲝᲚ. Ვ. ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘᲡᲐ** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**კ. დ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა, საღამოობით 6—7 საათამდე.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲗᲘ:

**Მ. Გ. ᲐᲕᲔᲢᲘᲡᲘᲐᲜᲪᲘ:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. Ა. ᲜᲐᲕᲐᲮᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘ.**
1004

## ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲝᲛᲐ Დ ᲯᲐᲜᲣᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ

ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ-ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲡᲜᲝᲨᲘ,
მუხრანის ქ. № 2.
ყოველნაირი: **საკუთარი Ძ ᲞᲔᲢᲔᲠᲑ.**

მეხანიკური ნაწარმოები. 527